საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის

ბრძანება №

31/05/2024

MES 9 24 0001-06/32

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის განსაზღვრის შესახებ

,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლისა და ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2017 წლის 30 ივნისის N21 დადგენილებით დამტკიცებული სამინისტროს დებულების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის ,,ლ“ ქვეპუნქტის შესაბამისად

ვბრძანებ:

1. ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლით გათვალისწინებულ უფლებამოსილებათა განხორციელების მიზნით, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრად განისაზღვროს რომან ქათამაძე და მისი უფლებამოსილებები აისახოს სამუშაო აღწერილობაში.
2. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი ანგარიშვალდებულია მინისტრის ან/და მინისტრის პირველი მოადგილის წინაშე.
3. ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე და 30-ე მუხლებითა და ,,ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებებისთვის მნიშვნელოვანი საფრთხის შემცველი ინციდენტის განსაზღვრის კრიტერიუმებისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისთვის ინციდენტის შეტყობინების წესის დამტკიცების შესახებ“ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის 2024 წლის 28 თებერვლის N19 ბრძანებით დადგენილი ინციდენტთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულების მიზნით, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, ასევე, ვალდებულია:
დადგენილი წესის შესაბამისად აღრიცხოს ინციდენტის შესახებ ინფორმაცია და ინციდენტის აღმოჩენიდან არაუგვიანეს 72 საათისა მის შესახებ წერილობით ან ელექტრონულად შეატყობინოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ნაკლებსავარაუდოა, რომ ინციდენტი მნიშვნელოვან ზიანს გამოიწვევს ან/და მნიშვნელოვან საფრთხეს შეუქმნის ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს.
ინციდენტის შეფასებას, ინციდენტის შედეგად ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების შელახვის ალბათობისა და სიმძიმის დადგენას უზრუნველყოფს იურიდიული დეპარტამენტი.
4. ბრძანების შესაბამისი პირებისათვის გაცნობა უზრუნველყოს ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების განყოფილებამ.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობაში (მის: ქალაქი ბათუმი, კ. გამსახურდიას ქ. №9), ერთი თვის ვადაში, კანონმდებლობით დადგენილი წესით.
6. ბრძანება ამოქმედდეს 2024 წლის 1 ივნისიდან.

მაია ხაჯიშვილი
მინისტრი